

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს  
2017 წლის 10 ნოემბრის  
დადგენილება №2645

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
დებულებაში მაგისტრატურის შესახებ და მაგისტრატურის  
საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის  
შეფასების წესში ცვლილებების თაობაზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 26 ივნისის №704 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში მაგისტრატურის შესახებ და მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მაგისტრანტის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები შეიძლება იყოს სტუ-ის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, მოწვეული პროფესორი, მოწვეული ასოცირებული პროფესორი, მოწვეული ასისტენტ-პროფესორი, აგრეთვე სტუ-თან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტების მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება (მემორანდუმი) ურთიერთთანამშრომლობის შესახებ; მაგისტრანტის ხელმძღვანელი მაგისტრანტთან შეთანხმებით ადგენს პერსონალურ სამუშაო გეგმას (დანართი 3), სადაც უნდა იყოს მითითებული სამაგისტრო ნაშრომის დასახელება, სავალდებულო და არჩევითი საგნების/მოდულების ჩამონათვალი, კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული ჩასატარებელი ღონისძიებები. იგი ხელმძღვანელობს კვლევითი კომპონენტების შესრულებას, სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებას და დაცვისათვის მომზადებას“.

2. შეტანილ იქნეს ცვლილება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში და მე-2 მუხლის 2.7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.7.პროსპექტუსის შეფასება ხდება მაგისტრანტის ხელმძღვანელის მიერ ერთჯერადად (დასკვნითი შეფასება) 4 კომპონენტის მიხედვით (დანართი 1). შეფასების მაქსიმალური ქულაა 100. შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით  $S=5 \times M$ , სადაც M არის ოთხივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა“.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ.სალუქვაძე

